

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N12/81

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა 26.02.02  
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2020 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - იულია ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის - ლაშა კილაძის სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 დეკემბრის N2486 განკარგულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგ ზე: (SMP200004956, 2020 წლის 30 დეკემბრის N01/345148 მოხსენებითი ბარათი).

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომ ტექსტში - „პენიტენციური დაწესებულება“) განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის (შემდგომში - „ბრალდებული/მსჯავრდებული“) გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების შესყიდვა. (CPV კოდი - 85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები).

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული, ასევე, ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **50 000.00 ლარს (ორმოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი).**  
3.2. შესყიდვის ობიექტის (მომსახურება) ერთეულის ფასები განსაზღვრულია დანართი N1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.  
3.3. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ თანხაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

## 4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას დროული, ადეკვატური, კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების გაწევის შესახებ.  
4.2. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N2 - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“.

## 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, კერძოდ:

ა) გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევაში:

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

გამარტივებული ანგარიშგაქტურა (ინვოისი), ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), დანართი N2 და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი.

ბ) გადაუდებელი, გეგმიური ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევაში:

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

გამარტივებული ანგარიშგაქტურა (ინვოისი), გაწეული მომსახურების ჩამონათვალი განფასებით/კალკულაციით, მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა). (ფორმა №IV-100/ა - შესაძლოა არ იქნეს წარმოდგენილი სადიაგნოსტიკო მომსახურების მიწოდების შემთხვევაში.)

5.1.1. სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდეს მხოლოდ ხელშეკრულების 7.1. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეპუნქტით განსაზღვრული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დადებითი დასკვნის საფუძველზე.

- 5.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშსწორება ხდება ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევისას, რომელიც 6.3, 6.4 და 6.5 პუნქტებითაა გათვალისწინებული, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს დეტალური კალკულაცია.
- 5.3. მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი და საჭირო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს (სამედიცინო დეპარტამენტს) **ყოველთვიურად, არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის (საანგარიშო თვე) მომდევნო თვის 15 რიცხვისა, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27.**
- 5.4. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.
- 5.5. სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) მოსამსახურე, ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღებიდან **30 კალენდარული დღის** ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან (წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას პაციენტისთვის მიწოდებულ სამედიცინო მომსახურებასთან) და ამავე ვადაში უზრუნველყოფს მიღება-ჩაბარების აქტის პროექტის წარდგენას უფლებამოსილი პირისთვის. მიღება-ჩაბარების აქტის პროექტს ამ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელს აწერს მისი წარდგენიდან **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.**
- 5.6. სამმართველოს მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისას მიმწოდებელს წერილობით განუსაზღვრავს **7 სამუშაო დღიან** ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გაწეული მომსახურების ღირებულება არ ანაზღაურდება. ასევე არ ანაზღაურდება შემთხვევა, როდესაც მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გასწორების შემდგომ დაფიქსირდა ახალი ხარვეზი, გარდა ისეთი ხარვეზისა, რაც არ ყოფილა შემსყიდველის მხრიდან აღმოჩენილი პირველადი დახარვეზების დროს, რისთვისაც განუსაზღვრავს **3 სამუშაო დღიან** ვადას. სამმართველო **7 სამუშაო დღის ვადაში** ამოწმებს ხელახლა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას.
- 5.7. სამმართველოს მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას არატექნიკური ხასიათის დარღვევის აღმოჩენისას, წერილობით ინფორმაციას აწვდის ინსპექტირების ჯგუფს შემდგომი რეაგირებისათვის, რომლის აქტის საფუძველზე შემსყიდველი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

- 6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 6.2. ანგარიშსწორება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განხორციელდება დანართი N1-ით განსაზღვრული პრეისკურანტის ფასების შესაბამისად.
- 6.3. დანართი N1-ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ანაზღაურდება კონსერვატიული მკურნალობის კურსისთვის განკუთვნილი მედიკამენტების და მათთან დაკავშირებული სამედიცინო სახარჯი მასალების ღირებულება.
- 6.4. დანართი N1-ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ანაზღაურდება გამოყენებული იმპლანტებისა და ქიმიური თერაპიის კურსისთვის განკუთვნილი მედიკამენტების და მათთან დაკავშირებული სამედიცინო სახარჯი მასალების ღირებულება.
- 6.5. დანართი N1-ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად ანაზღაურდება არასრული სამედიცინო შემთხვევები, მაგრამ არაუმეტეს დანართი N1 განსაზღვრული პრეისკურანტის ფასისა.
- 6.6. სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ერთდროულად ორი ან მეტი ნოზოლოგიის მკურნალობისას ანაზღაურდება ძირითადი ნოზოლოგიის ღირებულება სრულად, ხოლო დამატებითი ნოზოლოგიების ღირებულება მათი საწყისი ღირებულების 50%-ის ოდენობით, გარდა კრიტიკული მდგომარეობისა.
- 6.7. ანგარიშსწორება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან: **10 სამუშაო დღის** ვადაში.
- 6.8. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### 7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- ა) შეამოწმოს, სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული სამედიცინო მომსახურების განფასების შესაბამისობა და მითითებული ფასების თანხვედრა ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებულ ფასებთან მიმართებაში, ასევე რამდენად სათანადოდ იქნა მომსახურება გაწეული სამედიცინო

დაწესებულების მიერ, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებების არსებობის პერიოდში ნებისმიერ დროს.

ბ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, **საანგარიშგებო თვის დასრულებიდან 2 თვის ვადაში;**

გ) სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევები რევიზიის მიზნით გადაუგზავნოს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც განხორციელდება ჩატარებული სამედიცინო მომსახურების თანხის ანაზღაურება ან/და ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების საკითხი;

დ) უზრუნველყოს მისი თანამშრომლების მიერ სამედიცინო დაწესებულებაში არსებული წესების დაცვა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

#### 7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) სამედიცინო დაწესებულებაში უზრუნველყოს მიმწოდებლისა და მესამე პირების უსაფრთხოების დაცვა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დროს.

#### 7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არ ექნება სათანადო რესურსი სამედიცინო მანიპულაციის განსახორციელებლად (აღნიშნული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, მიმწოდებელი წერილობით დაუდასტურებს შემსყიდველს მითითებულ ფაქტს 3 სამუშაო დღის ვადაში).

#### 7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;

ბ) მომსახურება გასწიოს **2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით;

გ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გაუწიოს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს პროფილის ფარგლებში სპეციალისტის საკონსულტაციო, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების, ამბულატორიული მკურნალობის, გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით;

დ) მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს, ხელშეკრულებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) მომსახურების გაწევისას დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ვ) გამოკვლევის ჩასატარებლად მიყვანილ მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება/გამოკვლევა გაუწიოს ურიგოდ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, მსჯავრდებულის და სხვა პირთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამასთან, მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისას, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირის გამოყოფა, რომელიც დაეხმარება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომელს სამედიცინო დაწესებულებაში დაუბრკოლებლად გადაადგილებასა და მსჯავრდებულისათვის დროული სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზებაში;

ზ) ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების (გაწერის) შემდგომ პერიოდში, მედიკამენტების დანიშვნის დროს უპირატესად იხელმძღვანელოს **საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის N381 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხით“**; სხვა მედიკამენტის დანიშვნის შემთხვევაში, რომელიც არ შედის აღნიშნულ ნუსხაში, შემსყიდველს უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს წერილობითი დასაბუთება ამ მედიკამენტის დანიშვნის აუცილებლობის თაობაზე.

თ) მიმწოდებელი ვალდებულია, მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისთანავე შეადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დალუქული ფორმით გაუგზავნოს დაწესებულების მთავარ ექიმს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლის მეშვეობით;

ი) მიმწოდებელი ვალდებულია, მსჯავრდებულისათვის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევისთანავე ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაცია, (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა)) ელექტრონული ფორმით გაუგზავნოს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების მთავარ ექიმს დანართ N3-ში მითითებულ

ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო ჩატარებული კლინიკო-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების პასუხები - მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

კ) მიმწოდებელი ვალდებულია, ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებლობისას, რომელიც დანართი N1- ით არ იქნება განსაზღვრული უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([medical@sps.gov.ge](mailto:medical@sps.gov.ge)) აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მომსახურების გაწევისთანავე ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული გარემოების დადასტურება განხორციელდება შეტყობინების მიღების დღესვე;

კ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

ლ) განახორციელოს ხელშეკრულების ფარგლებში გახარჯული თანხისა და ნაშთის კონტროლი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 90%-ის ამოწურვის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([medical@sps.gov.ge](mailto:medical@sps.gov.ge));

მ) ხელი შეუწყოს შემსყიდველის თანამშრომლების მიერ უფლება-მოვალეობების შესრულებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსჯავრდებულის მიერ გაქცევის, თვითდაზიანების ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის რისკი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 8.1. მიმწოდებლის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო კონკრეტულ შემთხვევაში **გასაწევი/გაწეული მომსახურების 20 %-ის** ოდენობით.
- 8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო კონკრეტულ შემთხვევაში **გასაწევი/გაწეული მომსახურების 10 %-ის** ოდენობით.
- 8.3. მიმწოდებლის მხრიდან სამედიცინო დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემების მითითების შემთხვევაში (გარდა 5.6. პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზისა), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო **გაწეული/გასაწევი მომსახურების ეპიზოდის 10 %-ის** ოდენობით.
- 8.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2022 წლის 31 მარტის** ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების 5.1.1, 6.5 და 7.1 „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-8 მუხლთან მიმართებაში ხელშეკრულება მოქმედებს (ძალაშია) 7.1. „გ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დასკვნის მიღებიდან 3 თვის ვადით.
- 9.2. ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება როგორც ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ, ისე ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ და დასრულებულ შემთხვევებზე.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 10.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 10.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
- 10.4. თუ ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ. ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ცვლილებაზე/შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან.
- 10.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

- 11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები, საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
- 11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა „11.1“ პუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 11.4. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

## 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 12.1. მომსახურების გაწევის შემდეგ (ან შესრულების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხისა.
- 12.2. ინსპექტირების განხორციელების შემდგომ დგება ინსპექტირების აქტი. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება, ღირებულება, ინსპექტირებისას აღმოჩენილი დარღვევები.
- 12.3. ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დარღვევა საკუთარი ხარჯით.
- 12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე თუ არსებობს ვარაუდი სამედიცინო მომსახურების უხარისხოდ გაწევასთან დაკავშირებით, შემსყიდველს უფლება აქვს, ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახლობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.
- 12.5. ხელშეკრულებაზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირების ვინაობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ:
  - ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
  - ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
  - გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არღვევს სისტემატიურად;
  - დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.
- 13.2. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 13.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, 14 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დააზიანებს მის ახლად გამოვლენილ ინტერესებს.
- 13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს მოლაპარაკების გზით.
- 14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**15. ხელშეკრულების სხვა პირობები**

- 15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 15.4. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 15.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 15.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა რეკვიზიტები**

| შემსყიდველი  | მიმწოდებელი   |
|--|---|
| <p>საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური</p> <p>მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N27,<br/>საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223,<br/>სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22,<br/>ა/ა GE24NB0330100200165022</p> <p>ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი</p> <hr/> <p>/იულია ტყეშელაშვილი/</p> | <p>შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“</p> <p>საიდენტიფიკაციო ნომერი: 404945164<br/>მის: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N2<br/>საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი“ ბანკი<br/>ბანკის კოდი: TBCBGE22<br/>ა/ა: GE05TB7810436020100001</p> <p>გენერალური დირექტორი</p> <hr/> <p>/ლაშა კილაძე/</p> |











































|   |  |        |   |
|---|--|--------|---|
| F12.03,F12.3, F12.4, F12.5-F12.56,F13.03, F13.4, F13.50-F13.56, F15.50-F15.56, F16.03,F16.3, F16.4, F16.50-F16.56, F18.03,F18.3, F18.4, F18.50-F18.56, F19.03,F19.3, F19.4, F19.50-F19.56 | სედატიური და საძილე, სტიმულატორების, კანაბინოიდების ან სინთეზური კანაბინოიდების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი: წვავე ინტოქსიკაცია დელირიუმით, ალკეითის მდგომარეობა გართულების გარეშე, ალკეითის მდგომარეობა დელირიუმით ან სხვაგვარი ფსიქოზური აშლილობით -1 საწ/დღე | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| F15,3   | სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი: ალკეითის მდგომარეობა-1 საწ/დღე   | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| F19,3   | სტიმულატორების და ოპიოიდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი: ალკეითის მდგომარეობა-1 საწ/დღე   | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| F19,3   | ოპიოიდების და სედატიური/საძილე საშუალებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი: ალკეითის მდგომარეობა-1 საწ/დღე  | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| F19,3,F19,4,F19,5-F19,56  | სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი: ალკეითის მდგომარეობა (ალკეითის მდგომარეობა გართულების გარეშე, ალკეითის მდგომარეობა დელირიუმით ან სხვაგვარი ფსიქოზური აშლილობით) ჩანაცვლებითი (მეთადონის ან სუბოქსონის) თერაპიის ფონზე (F11,22)-1 საწ/დღე                        | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| F11,3   | ოპიოიდების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი:ალკეითის მდგომარეობა..ოპიოიდური დეტოქსიკაცია პრეპარატ ბუპრენორფინის გამოყენებით-1 საწ/დღე   | 210.00 | ღირებულებაში შედის როგორც პაციენტის მოვლის, ასევე მედიკამენტოზური, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების ხარჯი |
| <b>NCSP კოდი</b>  | <b>მომსახურების დასახელება</b>   |        | <b>ფასი (ლარი)</b>  |
| ZYZX90  | ექიმი სპეციალისტის (ნარკოლოგი/ფსიქიატრი) კონსულტაცია   |        | 60.00   |
| F70.1   | მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით - 1 საწ/დღე  |        | 130.00  |



N2 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ელგუჯა ქირია.

ელ ფოსტა: [ekiria@sps.gov.ge](mailto:ekiria@sps.gov.ge)

N3 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ნანა ჯიჯოევა.

ელ. ფოსტა: [njioeva@sps.gov.ge](mailto:njioeva@sps.gov.ge)

N5 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ნანა გაბედავა.

ელ ფოსტა: [nagabedava@sps.gov.ge](mailto:nagabedava@sps.gov.ge)

N6 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსი - ნანა გაბედავა. ელ ფოსტა: [nagabedava@sps.gov.ge](mailto:nagabedava@sps.gov.ge)

N8 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსი - ნანა მალრამე. ელ ფოსტა: [namaghradzel@sps.gov.ge](mailto:namaghradzel@sps.gov.ge)

N10 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - თამარ ცაბუტაშვილი.

ელ ფოსტა: [tatsabutashvili@sps.gov.ge](mailto:tatsabutashvili@sps.gov.ge)

N11 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - დიანა

ცხენოსანიძე. ელ ფოსტა: [dtskhenosanidze@sps.gov.ge](mailto:dtskhenosanidze@sps.gov.ge)

N12 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ნანა მიქავა.

ელ ფოსტა: [nmikaval@sps.gov.ge](mailto:nmikaval@sps.gov.ge)

N14 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსი - გრიგოლ რევიშვილი. ელ ფოსტა: [grrevishvili@sps.gov.ge](mailto:grrevishvili@sps.gov.ge)

N15 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი -

თამარ ცაბუტაშვილი. ელ ფოსტა: [tatsabutashvili@sps.gov.ge](mailto:tatsabutashvili@sps.gov.ge)

N16 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ნანა მიქავა.

ელ ფოსტა: [nmikaval@sps.gov.ge](mailto:nmikaval@sps.gov.ge)

N17 პენიტენციური დაწესებულება

სამედიცინო პუნქტის უფროსი - თამარ შურღაია. ელ ფოსტა: [tshurghaia@sps.gov.ge](mailto:tshurghaia@sps.gov.ge)

N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება

მთავარი ექიმი - არჩილ ჭელიძე. ელ ფოსტა: [achelidze@sps.gov.ge](mailto:achelidze@sps.gov.ge)



სპეციალური პენიტენციური სამსახურის  
გენერალურ დირექტორს,  
ბატონ გიორგი პატარიძეს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის  
სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის,  
თამთა დემურიშვილის

### მოხსენებითი ბარათი


ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურები მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახური უზრუნველყოფს ხელშეკრულებების გაფორმებას სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად, ჩვენი პაციენტები სტაციონარული მკურნალობის კურსს გადიან შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“, სამედიცინო მომსახურების უწყვეტობისათვის, აუცილებელია მომავალი წლისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს 2020 წლის 30 დეკემბრიდან შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს მომსახურების განვების პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

თამთა დემურიშვილი





## საქართველოს მთავრობის გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

№2486 2020 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულების 3 (სამი) წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამისათვის – „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ – გამოყოფილ ასიგნებათა

ფარგლებში (პროგრამული კოდი - 26 02 02) სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრის  
მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი გახარია